საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

30/12/2025

MES 4 25 0001861079

გადაწყვეტილება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო **საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 31 ივლისის №934667 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და "დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 16 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და "დეკორატიული მებაღეობის და ლანდშაფტის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 30 დეკემბრის სხდომის №1861061 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კლასტერის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მკაფიოდ აღიწეროს, თუ როგორ აცნობს უნივერსიტეტი სწავლის შედეგებს დაინტერესებულ მხარეებს, იმისთვის, რომ გაძლიერდეს გამჭვირვალება და უკუკავშირის მექანიზმები.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევის შედეგების შეფასების მკაფიო პროცედურები, განსაკუთრებით სადოქტორო დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო-კვლევითი შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა წარმოადგინოს აკადემიური პერსონალის გარდა სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მტკიცებულება (მაგალითად: სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები).
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონიტორინგი და ანგარიშგება, იმისათვის, რომ ნაჩვენები იყოს, თუ როგორ შეესაბამება ერთმანეთს სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და შეფასების პროცესები.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოთ სახელმძღვანელოების და მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება უახლოესი სამეცნიერო კვლევების და გლობალური მიღწევების საფუძველზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებში აქცენტი გაკეთდეს ახალი და ახალგაზრდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვაზე და შენარჩუნებაზე, ისევე როგორც უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში მათ აქტიურ ჩართულობაზე. ადამიანური რესურსის განვითარების აღნიშნული ასპექტის გაძლიერება ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის განახლებას, სწავლებას და კვლევის ინოვაციური მიდგომების ინტეგრაციას, სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს ინვესტიცია ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და აქტიურად მოიძიოს აგრობიზნეს სექტორში პარტნიორობის შესაძლებლობები. აღნიშნული თანამშრომლობა გააძლიერებს პრაქტიკული სწავლების ხარისხს და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტში შექმნას მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება კლასტერში დაჯგუფებული აგრონომიის პროგრამების გაუმჯობესებაზე. აღნიშნული პროგრამა უნდა მოიცავდეს ფინანსური მხარდაჭერის, ინფრასტრუქტურის განვითარების, გაცვლითი პროგრამების გაძლიერების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა რაოდენობის და პროგრამის შემოსავლის გაზრდის კომპონენტებს. ეს ინიციატივები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ერთიან პოლიტიკას და სტრატეგიულ მიზნებს, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 16 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 16 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან